

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი

თინათინ ქოიავა

ქორეოგრაფიული ტენდენციები დრამატულ თეატრში
(ქორეოგრაფიული სპექტაკლის ევოლუცია)

ხელოვნების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

ავტორეფერატი

სპეციალობა – საშემსრულებლო – შემოქმედებითი ხელოვნება
(შემოქმედებითი პედაგოგიკა) “დრამის რეჟისურა”

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ვასილ კიკნაძე
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
გიორგი მარგველაშვილი
პროფესორი

თბილისი
2016

შესავალი

ყოველი საუკუნე, თავისი კულტურული პერიოდით, ქმნის საკუთარ შემოქმედებას, რომელიც არ მეორდება. ყოველი ხელოვნების ნიმუში თავისი დროის პირმშოა, ხშირად იგი ჩვენს გრძნობებსაც მართავს. ჩვენ არ შეგვიძლია ვიცხოვროთ ისე, როგორც ცხოვრობდნენ წინაპრები, არ შეგვიძლია გვქონდეს იგივე შეგრძნებები და ემოციები, მაგრამ ისტორიული წარსულის ცოდნა და გააზრება ქმნის მყარ საძირკველს, რათა აშენდეს ახალი, ფუნდამენტური ხელოვნება, რომელიც ვითარდება, უძლებს დროს და გარემოს, აღწევს უკვდავებას.

თემის აქტუალობა

XXI საუკუნის მსოფლიო ხელოვნებაში ერთ-ერთ წამყვან დარგად მიჩნეულია ქორეოგრაფია. ქორეოგრაფიული სპექტაკლები კულტურულ-ემოციურ სივრცეში თავისებურ დისკურსს ქმნიან. საქართველომ უნდა შეძლოს, ფეხდაფეხ მიჰყვეს და გაიზიაროს სახელოვნებო სამყაროს ეს მიმართულება, უფრო მეტიც, უნდა შექმნას შესატყვისი შემოქმედებითი ატმოსფერო, რათა თანდათან იგრძნოს თავი ამ მიმართულების სრულყოფილ მხარდამჭერად და შემოქმედად.

კვლევის საგანი, ობიექტი

კვლევის საგანია ქორეოგრაფიის ტენდენციების ანალიზი დრამატულ თეატრში, ასევე ქორეოგრაფ-რეჟისორის როლი და მზადყოფნა ერთ-ერთ მიმართულებაში - ქორეოგრაფიულ სპექტაკლში.

კვლევის მიზნები, ამოცანები

1. ქორეოგრაფიული სპექტაკლის, როგორც ქორეოგრაფიის ტენდენციის განვითარების გამოვლენა დრამატულ თეატრში;
2. ქორეოგრაფიული სპექტაკლის სპეციფიკის შესწავლა;
3. პრაქტიკული ნამუშევრის საფუძველზე ქორეოგრაფიისა და რეჟისურის სინთეზის გამოვლენა და ანალიზი;
4. ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების ანალიზი მისი ისტორიული ეპიზოდების შესწავლის საფუძველზე.

საკვლევი პრობლემის ანალიზი

ქორეოგრაფიისა და თეატრის კავშირი ოდითგანვე არსებობდა. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ადამიანი ცეკვის საშუალებით ავლენდა სულიერ გრძნობებს. ამ მხატვრულ გამომსახველობას უტილიტარული დატვირთვა ქონდა. სწორედ ავთენტური ცეკვები ასახავდნენ სხვადასხვა დღესასწაულებებზე, რიტუალებზე შესრულებულ ცეკვებს. ადამიანის განვითარებასთან ერთად ცეკვამ შეიძინა ესთეტიკური ღირებულება. როდესაც განვიხილავთ ქართულ ფოლკლორს, ნათლად

სჩანს ხალხის რწმენა-წარმოდგენები, რომელიც გაჯერებული იყო რიტუალური ქმედებებით (ცხოველის, ღვთაების, ციური სხეულების თაყვანისცემა), გუნდური შესრულება მოძრაობით, სიმღერით.

მოგვიანებით კი ადამიანმა თავის სულიერ მოთხოვნილებად აქცია მიეღო ესთეტიკური სიამოვნებაც. გართობა-თამაშის მიზნით ასრულებდა სხვადასხვა ცეკვას, რამაც წარმოშვა ინდივიდუალური შესრულების აუცილებლობა. შემსრულებელს გაუჩნდა მაყურებელი და შემფასებელი.

ხალხური ცეკვები იქმნებოდა ერის კულტურულ წარსულთან, ყალიბდებოდა და ვითარდებოდა სოციუმთან ერთად.

როდესაც ვაანალიზებთ ანტიკური პერიოდის სათეატრო წარმოდგენებში ქორეოგრაფიულ ტენდენციებს, ხაზგასმით იკვეთება პრიმიტიული მოძრაობები, რომელიც შემსრულებლის წარმოსახენად, მოცემული სიტუაციის გამოვლენისთვის გამოიყენებოდა.

ძველი ბერძნული თეატრი ღმერთების პატივსაცემად შეიქმნა. ნიღბიანი მამაკაცები ასრულებდნენ წარმოდგენებს ტრაგედიის, კომედიისა და სატირის ჟანრში. სამი ცნობილი ტრაგიკოსის - სოფოკლეს, ევრიპიდეს და ესქილეს ნაწარმოებებში პერსონაჟები ქმნიდნენ ლეგენდარულ გმირებსა და ღმერთებს, რომლებიც სიტყვას მოძრაობასთან სინთეზში ძერწავდნენ იდეალებს, რაც ხელს უწყობდა გარემო-სიტუაციის შექმნას და მეტად საინტერესოს ხდიდა წარმოდგენას.

თუ თვალს გავადევნებთ ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებას, მის კავშირს ხელოვნების სხვა დარგებთან - განსაკუთრებით, თეატრალურ ხელოვნებასთან კავშირს ვნახავთ, თუ როგორ ტრანსფორმირდებოდა ქორეოგრაფიული გამომსახველობითი საშუალებები.

ისტორიულ-ყოფითი ცეკვების წარმოშობა ხალხური ესთეტიკური ფორმის განვითარებამ განაპირობა. აქ მკვეთრად სჩანს ადგილმდებარეობის კლასიფიკაცია – მოძრაობის, კოსტიუმის, მუსიკის სპეციფიკა დამოკიდებულია ადამიანის ყოფაზე. ისტორიული-ყოფითი ცეკვები აისახა საიმპროვიზაციო თეატრებში. ქართული ბერიკაობა თვალსაჩინო მაგალითია, როგორც განაყოფიერებისა და შვილსნობის კულტისადმი მიძღვნილი თეატრალური, ნიღბიანი წარმოდგენა. სცენარები, რომლის საფუძველზეც იქმნებოდა ბერიკული წარმოდგენები, იცვლებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. დროთა განმავლობაში მან დაკარგა საკულტო-რელიგიური დანიშნულება და მშრომელი ხალხის ცხოვრების, მათი მისწრაფებების გამომსახველად იქცა. გმირი, სიუჟეტიდან გამომდინარე, თვითონ ქმნიდა საცეკვაო ლექსიკას, რომელიც იყო სხვადასხვა. ასეთმა ვითარებამ

წარმოშვა საიმპროვიზაციო თეატრი. შემსრულებელს უნდა ჰქონოდა განვითარებული წარმოსახვისა და გარდასახვის უნარი. ქართული ბერიკაობის თვალსაჩინო მაგალითი გვხვდება რევაზ ჩხეიძის ფილმში “მაია წყნეთელი” (1959 წელი).

იმპროვიზაციული თეატრი “კომედია დელ არტეს” სახელწოდებით იტალიაში ჩამოყალიბდა. ნიღბების კომედია აგებული იყო იმპროვიზაციულ შესრულებაზე. განსაზღვრული პერსონაჟების სახეს პროფესიონალი მსახიობები ქმნიდნენ და კომიკურ სიტუაციებს ქესტიკულაციის საშუალებით გამოხატავდნენ.

მაღალი სოციალური ფენისთვის იმართებოდა ბალ-მასკარადები, მეჯლისები მეფის კარზე, რამაც ხელი შეუწყო საბალო-სალონური ცეკვების განვითარებას. კომიკური სახის თეატრალური წარმოდგენები, რომლის მთავარი გმირი მასხარა იყო, რომელიც გართობის მიზნით ოხუნჯობდა, კარგად ფლობდა საკუთარ სხეულს, ასრულებდა რთულ აკრობატულ მოძრაობებს.

ქორეოგრაფიის გენეზისის მომდევნო ეტაპს წარმოადგენს კლასიკური ცეკვა, რომლის წარმოშობამ ქორეოგრაფიას აკადემიურობა შესძინა, თავი მოუყარა ქორეოგრაფიულ ლექსიკას. ქორეოგრაფიის ამ მიმართულებამ განაპირობა მოცეკვავე-შემსრულებლის პროფესიული აღზრდა. კლასიკური ცეკვა იქცა თეატრალურ წარმოდგენად. ქორეოგრაფიის ამ ტენდენციამ შექმნა დამოუკიდებელი მიმართულება - ბალეტი.

XX საუკუნეში ქორეოგრაფიულ მიმართულებას დაემატა თანამედროვე ცეკვა. ამ მიმართულების ერთ-ერთი წყარო გახდა ქუჩა, სადაც ახალგაზრდები საკუთარი უნარების, აკრობატული შესაძლებლობების დემონსტრირებას ახდენდნენ. “ჰიპ-ჰოპი”, “ბრეიკ დანსი” ეს იმ თანამედროვე ცეკვათა სახეობაა, რომელიც იშვა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ხოლო – “ჯაზი”, “მოდერნი” ეს კლასიკური ცეკვის სახეცვლილი ვარიანტებია, რომელიც ევროპაში იღებს სათავეს.

თუ გავუყვებით ქორეოგრაფიის განვითარების გზას და გავაანალიზებთ ქორეოგრაფიის პირველი ნიშნების გამოჩენას თეატრში, ცალსახად წავაწყდებით ორი სახის ტენდენციას - იმპროვიზირებულს და დადგმულს.

პირველ შემთხვევაში, პერსონაჟი თავისი ფანტაზიით ქმნის გმირისთვის გამომსახველ საშუალებას, ქესტიკულაციისა თუ იმპროვიზაციული მოძრაობების მეშვეობით. დადგმის შემთხვევაში კი პერსონაჟი განსაზღვრული მოძრაობის მეშვეობით ქმნის გმირის სახეს და ასე ცდილობს ქორეოგრაფიული დადგმის მიზანსცენის გახსნას;

თუმცა ზოგჯერ ცეკვა არც სიუჟეტთანაა კავშირში, არც პერსონაჟების ხასიათს ითვალისწინებს, არც ეპოქის, ჟანრის, იდეური თემატიკით ახდენს გავლენას მოძრაობაზე, ცეკვა არის მხოლოდ ცეკვისთვის. ასეთ დროს პრობლემას ქორეოგრაფის განათლებასთან, რეჟისორის გაუაზრებელ გადაწყვეტებთან მივყავართ.

დრამატულ თეატრში ქორეოგრაფიული ტენდენციებიდან მინდა გამოვეყო XX საუკუნის პირმშო – ქორეოგრაფიული სპექტაკლი, ამ მიმართულებამ მიიღო დამოუკიდებელი სახე და დამკვიდრდა მსოფლიო ხელოვნების არენაზე. ქართულ რეალობაში ეს მიმართულება სიახლეა. დღეს, როდესაც მსოფლიოში გვყავს თანამედროვე ქორეოგრაფიაში ცნობილი მოღვაწენი, არსებობს ქორეოგრაფ-რეჟისურის საგანმანათლებლო დაწესებულებები, იდგება სხვადასხვა სახის ქორეოგრაფიული სპექტაკლები, საქართველოში მაინც ნაკლებად ვითარდება თანამედროვე ქორეოგრაფია.

კვლევის მეთოდი და თეორიული წყაროები

ნაშრომი ეფუძნება სხვადასხვა პრაქტიკული უნარების, ცოდნისა და საკუთარი გამოცდილების ანალიზს. პირად კონსულტაციებს პედაგოგ-ქორეოგრაფებთან. ასევე მ. თუმანიშვილის, ვ. კიკნაძის, ი. ზახაროვის, უ. ტერიველის, ვ. კანდინსკის და სხვათა ლიტერატურას და ინტერნეტ მასალებს.

ნაშრომი, როგორც სიახლე და მისი პრაქტიკული დანიშნულება

ნაშრომი საშუალებას იძლევა ქართულ ხელოვნებაში დაამკვიდროს ახალი ტენდენციები. პროფესიული გუნდისა და შემოქმედებითი აზროვნების საშუალებით შექმნას გარემო და მოტივაცია თეატრალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისთვის.

ნაშრომის შექმნისას შესწავლილ იქნა ხელოვნების სხვადასხვა დარგები და მათი ზეგავლენა ქორეოგრაფიულ სპექტაკლზე. ამ საკითხზე მუშაობისას შეიქმნა ქორეოგრაფიული სპექტაკლი “სიყვარულისთვის”, “რომეო და ჯულიეტას” მოტივებზე.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შესავალის, სამი თავის და დასკვნისაგან.

• I თავი

დასავლეთ ევროპის თეატრი აღორძინების ეპოქაში;

• II თავი

XXI საუკუნის თეატრალური ხელოვნების ტენდენცია (2011 და 2014 წლის თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის მაგალითზე);

• III თავი

ქორეოგრაფიული სპექტაკლების სადადგმო ნაწილი;

I თავი

“დასავლეთ ევროპის თეატრი აღორძინების ეპოქაში” – განხილულია XV – XVII საუკუნეების დასავლეთ ევროპის სოციალური გარემოს ზეგავლენა ხელოვნებაზე და ხელოვანთა შეხედულებების გამოვლენა შემოქმედებითი გზით (იტალია, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთისა და ინგლისის მაგალითები).

ჰუმანისტურმა მოძრაობამ, რომელმაც მოიცვა ევროპა, ლიტერატურისა და მეცნიერების განხრით, განსაკუთრებული სიმძაფრით იჩინა თავი გერმანიაში, სადაც არსებული დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში, მწერლები, თავიანთი ნაწარმოებებით გამოხატავდნენ წინააღმდეგობას.

იტალიის ანტიკურმა კულტურამ ზეგავლენა მოახდინა სხვა ქვეყნების კულტურაზე. ფეოდალიზმისა და კაპიტალისტური წყობილების დაპირისპირებამ ჰუმანისტური იდეალების გადაგვარება გამოიწვია. ამ ვითარებას საუკეთესოდ გამოსახავენ და რეალობას შემოქმედებითად აღწერენ, აღორძინების ეპოქის ესპანეთში ლოპე დე ვეგა, ხოლო ინგლისში უილიამ შექსპირი. თეატრის განვითარებას ამ პერიოდში გვიჩვენებს დრამატურგთა და მწერალთა მსოფლმხედველობა, იდეალების წარმოსახვითა და მტკიცე იდეოლოგიით.

უილიამ შექსპირმა რაც დაუტოვა მსოფლიოს, აღემატება მხატვრულ სინამდვილეს, რადგან იგი ქმნიდა არა წინამორბედთა ლიტერატურული მოდელების მიხედვით, არამედ ცოცხალი სინამდვილის კარნახით.

შექსპირის ტრაგედიებისათვის დამახსიათებელია ღრმა წვდომა თავისი დროის ტრაგიკულ – ისტორიულ არსთან. მის დრამატურგიაში საოცარი სიმართლითაა ასახული აღორძინების ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტები, ცხოვრებისეული ცვლილებები, რაც გამოიწვია ფეოდალიზმის შეცვლამ ბურჟუაზიული წყობილებით. სწორედ ისტორიული მოვლენები, ბრძოლა ძველსა და ახალს შორის გახდა შექსპირისთვის შთაგონების საფუძველი. სწორედ რომ შექსპირმა შეძლო მის ტრაგედიებში ეჩვენებინა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხალხის როლი და მნიშვნელობა.

შექსპირმა თავის ტრაგედიებში გამოხატა რწმენა ადამიანის სიკეთეზე, კეთილშობილებასა და დაუმორჩილებელ სულზე. ადამიანურ ღირსებებსა და მისი სრულყოფილების დიდებულებაზე.

ბალეტის პირველი კლასიკოსებიდან დაწყებული, მსოფლიოს საუკეთესო მოცეკვავეების სურვილი იყო, გაეხსნათ შექსპირისეული ღრმა ხასიათები, გადმოეცათ მისი ტიტანური ძალა, სახეების მრავალფეროვნება და ფსიქოლოგიური სიღრმე. მათ შორის - ჯორჯ ნოვერი, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ცდილობდა შეექმნა შექსპირისეული სიღრმისა და მასშტაბის სპექტაკლი.

ვახტანგ ჭაბუკიანმა შექსპირი გამოხატა ქორეოგრაფიული ენით, მისი იდეოლოგიური მრწამსის წარმოჩინებით, მხატვრული სახის გაცოცხლებით, შექმნა იდეალური სასცენო ხელოვნების ნიმუში სპექტაკლში "ოტელო".

შექსპირის ნაწარმოებები ყოველთვის აქტუალური იყო, არის და იქნება, განსაკუთრებით დრამატულ თუ ქორეოგრაფიულ დადგმებში. ნაშრომის ეს თავი კი განიხილავს შექსპირის გენიალურობას და მისი ნაწარმოებების ქორეოგრაფიულ ინტერპრეტაციებს.

ამ თავში განხილულია შუა საუკუნეების სამეფო კარისთვის დამახასიათებელი ხალხური ცეკვები, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინეს ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაზე. აღორძინების ხანა, ქორეოგრაფიული ხელოვნების აღორძინების პერიოდადაც იქცა. ამ დროს შეიქმნა ახალი ქორეოგრაფიული მიმართულება – ბალეტი, რაც ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების მწვერვალი გახდა (იტალიაში აღორძინების პერიოდში ჩამოყალიბდა 1600 წელს, შემდეგ გავრცელდა საფრანგეთში, ინგლისსა და რუსეთში).

დასავლეთ ევროპის თეატრის აღორძინების ეპოქამ აჩვენა თუ რა გზა განვლო ქორეოგრაფიულმა ხელოვნებამ, როგორც თეატრთან კავშირში, ასევე ცალკე დარგად ჩამოყალიბებამდე. როგორ ტრანსფორმირდა ხალხური ავთენტური ცეკვა, სასცენო ესთეტიკურ ქორეოგრაფიამდე. ისტორია უკვდავი და მნიშვნელოვანია, აუცილებელია მისი გააზრება, რათა წარსულის საძირკველზე შეიქმნას ახალი.

II თავი

XXI საუკუნის თეატრალური ხელოვნების ტენდენცია (2011 და 2014 წლის თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის მაგალითზე)

კონკრეტული სპექტაკლების მაგალითებით, მათი ანალიზით, იქმნება შთაბეჭდილება საერთაშორისო თეატრალური ხელოვნების ირგვლივ.

ქორეოგრაფიის ტენდენციების დრამატულ თეატრში დანერგვამ, წარმოშვა არავერბალური წარმოდგენა – სპექტაკლი, რომელიც სხეულის მოძრაობით გადმოსცემს მთელ სიუჟეტურ ქარგას. ცნობილი ქორეოგრაფების – მორის ბეჟარი, ჯორჯ ბალანჩინი, პინა ბაუში – სწორედ მათ სახელებს უკავშირდება ახალი ქორეოგრაფიული ტენდენციის ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბება. ისინი ნოვატორები იყვნენ კლასიკური ბალეტის მოდიფიკაციაში. მათ მოძრაობა გაანთავისუფლეს ჩარჩოებისგან და მოცეკვავეს მისცეს ემოციის მეტად გამოვლინების საშუალება.

საქართველოში არსებული და მის ფარგლებს გარეთ დადგმული მსგავსი ტიპის ქორეოგრაფიული წარმოდგენები, სისტემატიურად ხდება თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. ამ თავში საშუალება გვაქვს გავეცნოთ აღნიშნულ ფესტივალზე წარმოდგენილ ქორეოგრაფიული სპექტაკლების ანალიზს, როგორცაა: **“ობსერვატორია”** რეჟისორი – ოდიტ ჰერმანი, **“ჯალათი”** თეატრი **“დო”**, რომელიც დაარსდა 1987 წელს, როგორც ფიზიკური და ცეკვის თეატრის ექსპერიმენტული კომპანია; სპექტაკლი **“ვარდი”** (წმინდა გაზაფხული) რეჟისორი – სანგსუ ანი; **ირჟი კილიანის თანამედროვე ბალეტები** დადგმა – პატრიკ დელკრუასი; **“მოხეტიალე სიმღერები”** ტაილანდელების ქორეოგრაფიული წარმოდგენა, ქორეოგრაფი- ლინ ჰვაი-მინი; **“სლავას თოვლის შოუ”** რუსების მიერ წარმოდგენილი პიესა; **Concerto Barocco** ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფია; სპექტაკლი **“ჰარირა”**, დამდგმელი ქორეოგრაფი მარიამ ალექსიძე; სპექტაკლი **“გრაფიტაცია”**, რეჟისორი და ქორეოგრაფი თიკო ქოიავა.

საქართველოში გამართული საერთაშორისო თეატრალური ფესტივალების გვერდით, აღსანიშნავია მსოფლიოში არსებული, მრავალწლოვანი ისტორიის მქონე ფესტივალებიც, რომელიც დღემდე ინარჩუნებენ სათანადო იმიჯს. მათ შორის აღსანიშნავია ა.პ. ჩეხოვის მეთორმეტე თეატრალური ფესტივალი და აქ წარმოდგენილი ქორეოგრაფიული სპექტაკლები.

ფესტივალის მონაწილე სპექტაკლების ანალიზი გვაფიქრებინებს ახალი მიმდინარეობის იდეოლოგიური თუ მხატვრული გადაწყვეტის ღირებულების არსზე.

იმაზე, თუ რამდენად არის ახლოს საქართველოში არსებული მსგავსი ტიპის ხელოვნება მსოფლიოს ხელოვნების ტენდენციებთან, რამდენად სწრაფად ვითარდება მისი კონცეფცია და რითაა მნიშვნელოვანი.

III თავი

“ქორეოგრაფიული სპექტაკლების სადადგმო ნაწილი” – განიხილავს შემოქმედის მუშაობის პროცესის სპეციფიკასა და მის ფსიქოლოგიურ ხასიათს. დრომ და მასში განვითარებულმა მოვლენებმა წინა პლანზე წამოწია აქტუალური საკითხები და ამ საკითხების გადაჭრის სხვადასხვა ესთეტიკური გზები შემოგვთავაზა. ტრანსფორმაცია განიცადეს როგორც პროფესიებმა, ასევე, ხელოვნების დარგებმაც. ადამიანის გემოვნება, სურვილი და მოთხოვნილება გაიზარდა. იგი ეძებს ახალს და იმ ახალში ითხოვს ხარისხიან შემოქმედებას.

ამ გარემოებამ შექმნა ახალი მიმდინარეობა, რომელიც სხვადასხვა ხელოვნების დარგების სინთეზურ კავშირს წარმოადგენს. მუსიკა, ქორეოგრაფია, თეატრი, სახვითი ხელოვნება ერთი, მთლიანი ჯაჭვური პრინციპით ქმნის ხელოვნების ნიმუშს, რომელიც დღეს ძალზედ აქტუალურია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.

ქორეოგრაფიული სპექტაკლის შექმნისთვის აუცილებელი კომპონენტების განხილვა საშუალებას იძლევა გარკვეული ნიადაგი შექმნას მომავალი რეჟისორ-ქორეოგრაფისთვის. შექმნას კონკრეტული სამუშაო გეგმა, რითაც შესაძლებელი გახდება თეორიულად იქნეს გააზრებული პრაქტიკული ნამუშევრი. **მხატვრული გაფორმების ფსიქოლოგიის** გააზრება, დამდგმელს საშუალებას აძლევს, ჩაწვდეს შემოქმედების ესთეტიკურ ღირებულებებს. ამიტომაც ეს საკითხი შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა სიღრმისეულად.

ეს თავი ასევე მოიცავს **შემოქმედის ფსიქოლოგიას**, მის სპეციფიკას სადადგმო ხელოვნების პროცესში, შემოქმედებით აზროვნებას სოციალური გარემოსა და საკუთარი გენეტიკის გავლენით. მნიშვნელოვანია ასევე შემოქმედის, როგორც პიროვნების გააზრება. თუ მან იცის, რა აძლევს უარყოფით, ან დადებით იმპულსებს, რამ შეიძლება იქონიოს მის შემოქმედებაზე ზეგავლენა, მაშინ აზროვნებაც შესაბამისად კონცენტრირდება.

ქორეოგრაფიული სპექტაკლების სადადგმო ნაწილის მესამე საკითხი არის **რეჟისორის საექსპლიკაციო ნაწილი**, რეჟისორის მზაობა და დამოკიდებულება აღნიშნული პიესისადმი, იკვეთება როგორც რეჟისორის, ასევე ქორეოგრაფის აზროვნება და ყალიბდება სტრატეგიული ხედვა პრაქტიკული დადგმისთვის.

ავტორისგან (უილიამ შექსპირი) მიღებული ინფორმაციით იქმნება ქორეოგრაფიულად ადაპტირებული ვერსია. არავერბალური სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება პიესის შეკუმშვა და მთავარი სათქმელის მოკლე ამბით გამოსახვა. რეჟისორის საექსპლიკაციო ნაწილი არის ხერხემალი, რაზეც პრაქტიკულად იქმნება ცოცხალი, სულიერი ხელოვნება.

რეჟისორის საექსპლიკაციო ნაწილი

შესავალი

ჩემი შრომის პრაქტიკული ნაწილი შეიქმნა, უილიამ შექსპირის პიესის “რომეო და ჯულიეტას” მოტივების მიხედვით. პიესა, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ხელოვანთა (ლიტერატორები, დრამატურგები, რეჟისორები, ქორეოგრაფები), მიერ საფუძვლიანად შესწავლილი და დამუშავებულია, ამიტომ აღნიშნულ თემასთან შეჭიდება ერთგვარ რისკთანაც იყო დაკავშირებული. გავიაზრე რა საკითხის სირთულე, შევეცადე პიესის მიხედვით შემექმნა ახალი ლიბრეტო – “სიყვარულისთვის”. ლიბრეტოში პრობლემა შემდგენაირად გადავჭერი: მოქმედებები გავათანამედროვე, მოქმედებაში შევიყვანე დომინანტი ქალი, თამამი ქალი. შევეცადე შემენარჩუნებინა დრამატული ხაზი, შევეცადე მხოლოდ საფინალო გადაწყვეტა. შეყვარებული წყვილი გარდაცვალების შემდეგ გავაუკვდავე. ჩემი, როგორც რეჟისორისა და ქორეოგრაფის ამოცანა იყო:

1. დადგმულიყო ქორეოგრაფიული სპექტაკლი, რომელიც თავისი კონცეფციით უპასუხებდა სადისერტაციო თემის პრაქტიკულ ნაწილს;
2. წარმოჩენილიყო თემის აქტუალობა ესთეტიური ფორმით. მისაღები და გასაგები ყოფილიყო ყველა ასაკის, თუ ეროვნების მაყურებლისთვის;
3. შექმნილიყო სპეციალური ქორეოგრაფიული ტექსტი, რომელიც არ დაარღვევდა შექსპირის ნაწარმოების იდეოლოგიას;
4. შესაბამისი შემოქმედებითი გუნდი, რომელიც სწორად გაიაზრებდა მოცეულ ამოცანას და მაღალი პროფესიონალიზმით შეასრულებდა სამუშაოს;
5. შექმნილიყო საქართველოში თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების პერსპექტივის პირობები;
6. განსაზღვრულიყო, საქართველოში, არსებულ საგანმანათლებლო სივრცეში თანამედროვე ქორეოგრაფიის როლი.

სპექტაკლის შესახებ

ქორეოგრაფიული დრამა “სიყვარულისთვის” შეიქმნა უილიამ შექსპირის “რომეო და ჯულიეტას” მოტივებზე. არავერბალური სპექტაკლი გამოხატავს

ყოველი ეპოქის ერთ – ერთ აქტუალურ თემას – სიყვარულს, რაც დრამაში გადმოცემულია XXI საუკუნის ქორეოგრაფიით. სპექტაკლი “სიყვარულისთვის” მოგვითხრობს ახალგაზრდა შეყვარებულ წყვილზე, რომელთა სიყვარული იმქვეყნად გაგრძელდა და გადაიქცა მარადიულად!

სპექტაკლი ერთმოქმედებიანია - ოლაფურ არნალდსის, ჟან ბანკის, ვანგელისის, ლინსი სტირლინგის მუსიკალური კომპოზიციებით.

სპექტაკლში მონაწილეობენ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის, სერგო ზაქარიასის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის სტუდენტები და პროფესიონალი მსახიობები. დრამის მსახიობებისა და მოცეკვავეების ტანდემით შეიქმნა ქორეოგრაფიული დრამა, რომლის პრემიერაც გაიმართა მუსიკისა და დრამის თეატრში 2013 წლის 24-27 ოქტომბერს.

სპექტაკლი “სიყვარულისთვის” გასტროლებით წარსდგა 2013 წლის 11 დეკემბერს გორის გიორგი ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრში. 2014 წლის 3 თებერვალს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში, 3 და 31 მარტს – ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში.

ლიტერატურული ანალიზი

ლიბრეტო –

კაპულეტების ოჯახში გამართულ წვეულებაზე, დაპირისპირებული ოჯახის შვილებს – რომეოსა და ჯულიეტას თავდავიწყებით შეუყვარდებათ ერთმანეთი. ჯულიეტას ბიძაშვილი ტიბალტი ამ ურთიერთობის სასტიკი წინააღმდეგია, ხოლო მერკუციო და ჯულიეტას მეგობარი გოგონები თანაუგრძნობენ მათ. ბერი ლორენცო ერთადერთია, რომელიც ლოცავს ახალგაზრდების სიყვარულს და ხელს უწყობს.

რომეოზე განრისხებული ტიბალტი თავის მეგობრებთან ერთად, იწყებს ჩხუბს. კონფლიქტში იგი შემთხვევით კლავს მერკუციოს. ამ ამბის მომსწრე რომეო შურს იძიებს ტიბალტზე.

შეყვარებული რომეო და ჯულიეტა ემსხვერპლნენ ბედისწერას, ხოლო მათი სიყვარული იქცა მარადისობად.

ძირითადი კონფლიქტი –

აკრძალული სიყვარული.

ძირითადი თემა – სიყვარული, თავისუფლება, გენდერული თანასწორობა.

იდეა – ჭეშმარიტი სიყვარული ამარცხებს დაბრკოლებებს. შეყვარებული ადამიანი შეუპოვარი და ამაღლებულია.

მორალი – თვალთ ნანახი მოვლენა საჭიროებს გააზრებას და არსში ჩაწვდომას. სუბიექტური შეხედულებები ზოგჯერ მცდარია და დამღუპველ შედეგამდეც მივყვართ.

თუ ძლიერ გსურს ის აუცილებლად ასრულდება, ამისათვის საჭიროა განსჭვრიტო გონებით და გაუმკლავდე დაბრკოლებებს.

ჟანრი – ქორეოგრაფიული დრამა.

თეატრალური ანალიზი

სპექტაკლის მიზანდასახულობა – კონცეფცია

- აქტუალური თემა (სიყვარული) XXI საუკუნის გადასახედიდან;
- საზოგადოების როლი პირად ურთიერთობებში;
- სარწმუნოების როლი და დამოკიდებულება საზოგადოების განვითარებაში.

სპექტაკლის ზემოცანა –

სიყვარულის დიდი ძალის ზეგავლენა.

სპექტაკლის გამჭოლი მოქმედება -

სასიყვარულო რომანში საზოგადოების ჩარევა.

სპექტაკლის მარცვალი –

სიყვარულს დაპირისპირებული სოციალური გარემო და საზოგადოებრივი აზრი.

სპექტაკლის ატმოსფერო –

ბოჰემური, მაცდური გარემო სადაც თავისუფლების მოყვარული ახალგაზრდები გამოხატავენ სურვილებსა და ვნებებს, სიყვარული ნავარდობს, იქვე სადაც აგრესია ბობოქრობს. სიუჟეტი ვითარდება ტაძარში.

მოქმედი პირნი :

რომეო;

ჯულიეტა;

ტიბალტი;

მერკუციო;

ლორენცო;

ჯულიეტას მეგობარი გოგონები;

ტიბალტის მეგობრები;

რომეოს მეგობრები.

1. რომეოს ზეამოცანა – სიყვარულის თავისუფლება, მოპოვებული სიყვარულის შენარჩუნება;

გამჭოლი მოქმედება – იგი ყველა წინააღმდეგობას აღუდგება წინ.

2. ჯულიეტას ზეამოცანა – გაუფრთხილდეს მოპოვებულ სიყვარულს.

გამჭოლი მოქმედება – სიყვარულისთვის წინ აღუდგეს ყველანაირ წინააღმდეგობას, ოჯახის ღირებულებებს.

3. ტიბალტის ზეამოცანა – გაუფრთხილდეს ჯულიეტას და დაიცვას ოჯახის ტრადიციები;

გამჭოლი მოქმედება – ებრძოლოს ყველას, ვინც მის ოჯახს ღირსებას უღახავს.

4. მერკუციოს ზეამოცანა – დარჩეს მეგობრის ერთგულად და გაუფრთხილდეს მას.

გამჭოლი მოქმედება – მეგობრის ხსნა და არიდება ხიფათისაგან.

5. ლორენცოს ზეამოცანა – სიმშვიდის ატმოსფეროს შექმნა. ახალგაზრდა შეყვარებული წყვილის სასიყვარულო გრძნობებში ჩარევა;

გამჭოლი მოქმედება – გამოჩნდეს მაშინ, როდესაც დაძაბულობა პიკს მიაღწევს და გაანეიტარალოს სიტუაცია. რომეო და ჯულიეტასთან მიმართებაში იღებს წარუმატებელ გადაწყვეტილებას.

6. ჯულიეტას მეგობრების ზეამოცანა – ჯულიეტასთვის კომფორტული გარემოს შექმნა და სიყვარულში ხელშეწყობა;

გამჭოლი მოქმედება – ჯულიეტას ირგვლივ არსებულ სიტუაციებში აქტიური ჩართვა.

7. ტიბალტის მეგობრების ზეამოცანა – ტიბალტის მხარდაჭერა და დაცვა;

გამჭოლი მოქმედება – ღხინსა თუ კონფლიქტურ სიტუაციებში მეგობრის გვერდით ყოფნა.

8. რომეოს მეგობრების ზეამოცანა – რომეოს გამხნეება და მხარდაჭერა;

გამჭოლი მოქმედება – ბრძოლა რომეოს კეთილდღეობისთვის.

ამოსავალი მოვლენა

დაპირისპირებული ოჯახის შვილების სიყვარული.

I მოვლენა – წვეულებაზე დაპირისპირებული ოჯახის შვილები;

II მოვლენა – რომეოსა და ჯულიეტას პირველი შეხვედრა – შეყვარება;

III მოვლენა – რომეოს და მისი მეგობრების, როგორც არასასურველი სტუმრების აღმოჩენა;

IV მოვლენა – რომეოსა და ჯულიეტას პაემანის გამჟღავნება;

V მოვლენა – ტიბალტისა და ჯულიეტას დაპირისპირება;

VI მოვლენა – რომეოსა და ჯულიეტას ჯვრისწერა;

VII მოვლენა – მერკუციოსა და ტიბალტის სიკვდილი;

VIII მოვლენა – რომეოსა და ჯულიეტას გარდაცვალება;

IX მოვლენა – რომეოსა და ჯულიეტას სული, როგორც უკვდავი სიყვარულის სიმბოლო.

სურათების დაყოფა ეპიზოდების მიხედვით

1. სურათი – წვეულება ჯულიეტას სახლში.

ეპიზოდი I – ჯულიეტა თავის მეგობრებთან ერთად მართავს წვეულებას.

ეპიზოდი II – რომეო თავის მეგობრებთან ერთად შემოუერთდება წვეულებას.

ეპიზოდი III – პერსონაჟების წარმოჩინება, ცალ-ცალკე და ღუპტში.

ეპიზოდი IV – ჯულიეტას და ტიბალტის გამოჩენა;

ეპიზოდი V – ქალ-ვაჟთა ფლირტი;

ეპიზოდი VI – ყველას ჩართვა საერთო წვეულებაში.

რომეოს ამოცანა – თავი აარიდოს მისთვის არასასურველ გარემოს;

ჯულიეტას ამოცანა – გაერთოს მეგობრებთან ერთად;

ტიბალტის ამოცანა – ისიამოვნოს წვეულებით;

მერკუციო – მოხიბლოს ქალები, წარმოაჩინოს თავის ხიბლი.

2. სურათი – რომეოსა და ჯულიეტას შეხვედრა.

ეპიზოდი I – შეზარხოშებული წყვილების ერთმანეთთან დამოკიდებულება;

ეპიზოდი II – რომეოს და ჯულიეტას შეხვედრას ხელს უშლის ახალგაზრდების ქაოსური ქმედება.

ეპიზოდი III – რომეო და ჯულიეტას შეხვედრა, მათი ლტოლვა. პარალელურად მეგობრები აგრძელებენ ბოჰემურ გართობას.

ეპიზოდი IV – წყვილების ცალ – ცალკე წარმოჩენა;

ეპიზოდი V- რომეო და ჯულიეტას მომდევნო შეხვედრაზე, ტიბალტი შეამჩნევს მტერს – რომეოს.

ეპიზოდი VI – რომეოსა და ტიბალტის დაპისპირება და მათი სამეგობროს კონფლიქტი.

რომეოს ამოცანა – გაეცნოს ჯულიეტას;

ჯულიეტას ამოცანა – გაეცნოს რომეოს;

ტიბალტის ამოცანა – განდევნოს მტრები;

მერკუციოს ამოცანა – დაიცვას რომეო;

სხვა დანარჩენი – ერთმანეთთან სასიყვარულო კავშირებით არიან დაკავებულნი.

3. სურათი – რომეო და ჯულიეტას სასიყვარულო სცენა

ეპიზოდი I – რომეოს ჯულიეტასთან მისვლა;

ეპიზოდი II – ჯულიეტას პასუხი რომეოს სიყვარულზე;

ეპიზოდი III – რომეოსა და ჯულიეტას შეხვედრა, სიყვარულის ახსნა; პარალელურად, ტიბალტის თვალთვალი რომეოსა და ჯულიეტას ურთიერთობაზე.

რომეოს ამოცანა - გამოავლინოს სიყვარული ჯულიეტას მიმართ;

ჯულიეტას ამოცანა – მიიღოს რომეოს სიყვარული.

4. სურათი – ჯულიეტას და ტიბალტის კონფლიქტი

ეპიზოდი I – ტიბალტის უარყოფითი რეაგირება შეყვარებული წყვილის ურთიერთობაზე და ჯულიეტას გაკიცხვა;

ეპიზოდი II – ჯულიეტა არ ეპუება ტიბალტის აგრესიას;

ეპიზოდი III – ტიბალტი განრისხებულია და რომეოზე შურისძიებით აღსავსე მართო ტოვებს ჯულიეტას.

ჯულიეტას ამოცანა – დაიცვას თავისი სიყვარული;

ტიბალტის ამოცანა – შეეწინააღმდეგოს ჯულიეტას არჩევანს.

5. სურათი – ტაძარი

ეპიზოდი I – ლორენცოს ლოცვა;

ეპიზოდი II – აფორიაქებული რომეოს მამაოსთან მისვლა;

ეპიზოდი III – მერკუციოს გამოჩენა რომეოს გასახარებლად;

ეპიზოდი IV – ჯულიეტასა და მისი საუკეთესო მეგობრებით ტაძარში მისვლა;

ეპიზოდი V – ჯვრისწერა;

ეპიზოდი VI – მერკუციო და ჯულიეტას მეგობრები ერთად ზეიმობენ შეყვარებული წყვილის გადაწყვეტილებას.

ლორენცოს ამოცანა – დაეხმაროს ახალგაზრდა წყვილს;

რომეოს ამოცანა – იქორწინოს ჯულიეტაზე;

ჯულიეტას ამოცანა – წინ აღუდგეს მისი ოჯახის ტრადიციებს;

მერკუციოსა და ჯულიეტას მეგობრების ამოცანა – ხელი შეუწყონ ახალგაზრდა შეყვარებულ წყვილს.

6. სურათი – ჩხუბი

ეპიზოდი I – ტიბალტი თავის მეგობრებთან ერთად შემოდის რომეოზე შურისძიებლად;

ეპიზოდი II – მერკუციო და მისი მეგობრები წინ აღუდგებიან მოწინააღმდეგე გუნდს;

ეპიზოდი III – გუნდებს შორის შეჯიბრი;

ეპიზოდი IV – ჯულიეტას მეგობრების გამოჩენა კონფლიქტის განეიტრალების მიზნით.

ეპიზოდი V – გარდაუვალი ჩხუბი;

ეპიზოდი VI – რომეოს გამოჩენა, ტიბალტი ეცდება რომეოზე შურისძიებას, მაგრამ წინ აღუდგება მერკუციო;

ეპიზოდი VII – ტიბალტისა და მერკუციოს ჩხუბი;

ეპიზოდი VIII – ტიბალტისა და რომეოს ჩხუბი.

ტიბალტის ამოცანა – შური იძიოს რომეოზე;

მერკუციოს ამოცანა – დაიცვას რომეო;

სხვა დანარჩენი – დაიცვან მეგობრის ინტერესები.

7. სურათი – ლორენცოს როლი

ეპიზოდი I - გარდაცვლილი ტიბალტისა და მერკუციოს გაცილება;

ეპიზოდი II – სიკვდილით მტრებიც კი ერთიანდებიან სასუფეველში;

ეპიზოდი III – გონებააშლილი ჯულიეტა.

ეპიზოდი IV – მამაო ამშვიდებს ჯულიეტას და აძლევს საძილე წამალს;

ეპიზოდი V – რომეოსა და ჯულიეტას სიკვდილი.

ეპიზოდი VI – რომეო და ჯულიეტა სასუფეველში.

ლორენცოს ამოცანა – გაანეიტრალოს დაძაბული სიტუაცია და უპოვოს ახალგაზრდა წყვილის სიყვარულს გამოსავალი.

რომეოს ამოცანა – შეუერთდეს გარდაცვლილი შეყვარებულის სულს;

ჯულიეტას ამოცანა – სიყვარულის გადარჩენისთვის გამოსავალის ძიება.

განხორციელება

1. მიზანსცენა - წვეულება.

ჯულიეტას სახლში გამართულ წვეულებაზე, თავს იყრიან მისი მეგობრები, სვამენ, ერთობიან, ერთმანეთს ეარშიყებიან. წვეულებას შემოუერთდება რომეო თავის მეგობრებთან ერთად. მეგობრები ცდილობენ რომეო გაამხიარულონ. თუმცა რომეოსთვის არსებული სიტუაცია უინტერესოა და ცდილობს განმარტოებას. ახალგაზრდები ნიღბებით არიან და ვერ ცნობენ ერთმანეთს, თუმცა კარგად ამჟღავნებენ ინტერესს საპირისპირო სქესის მიმართ. წვეულებას უერთდება ჯულიეტა ტიბალტთან ერთად. ჯულიეტას გამოჩენას შეამჩნევს რომეო და ძალზედ

მოიხიბლება. მთელ სცენაზე განლაგებულია მსახიობ – მოცეკვაეების ჯგუფი, რომლებიც ასრულებენ ერთობლივ ცეკვას. მოძრავი მაგიდის და სკამების საშუალებით. იქმნება შესაძლებლობა გაიხსნას პერსონაჟების ხასიათი, წარმოჩინდეს მათი ერთმანეთთან დამოკიდებულება.

რომეოს ჯულიეტა დანახვისთანავე შეუყვარდება. ჯულიეტა მაშინვე შეამჩნევს მისადმი მიპყრობილ განსხვავებულ მზერას. რომეო და ჯულიეტას ინტერესები იკვეთება, სიახლოვე სურთ, მაგრამ ხელს უშლიან ახალგაზრდები თავიანთი ქაოსური მოძრაობებით.

და მაინც... ისინი ხვდებიან. პარალელურად ნაჩვენებია ახალგაზრდა წყვილების ინდივიდუალური და მასობრივი სცენა. მაშინ, როცა ტიბალტი თავის მეგობართან და ერთ-ერთ გოგონასთან ერთობა, ტიბალტის მეგობარი შეამჩნევს ჯულიეტას სიახლოვეს მდგომ ახალგაზრდა ყმაწვილს და დაინტერესდება მისი ვინაობით. იგი მიუახლოვდება წყვილს და რომეოს ჩამოხსნის ნიღაბს. ტიბალდი განრისხებით გამოხატავს წვეულებაზე არასასურველი სტუმრის აღმოჩენას და ახალგაზრდები უმაღლეს ენათმეცნიერებაში კონფლიქტს. რომეოს მეგობრები, აქტიურად ერთვებიან კონფლიქტში, რათა აარიდონ მას საფრთხე.

2. მიზანსცენა – რომეო და ჯულიეტას პაემანი.

მარტოდ დარჩენილი რომეო მიაკითხავს ჯულიეტას და სურს გაუმჟღავნოს მისადმი დამოკიდებულება. ჯულიეტაც არ არის გულგრილი რომეოსადმი, რასაც ადასტურებს მისადმი სატრფიალო ქმედებები. მთელი ამ სცენის განმავლობაში ისინი უხსნიან ერთმანეთს სიყვარულს, გამოხატავენ ლტოლვას. ორივე წყვილი გრძნობს მათი სიყვარულის საფრთხეს, მაგრამ ორივე მზად არის აკრძალული ურთიერთობისთვის. ამ პაემანს შემთხვევით თვალს მოჰკრავს შორიანხლოს მდგომი ტიბალტი. წყვილი ვერ შეამჩნევს ტიბალტს. რომეო ტოვებს ჯულიეტას იმ იმედით, რომ მალე მოძებნის გამოსავალს.

3. მიზანსცენა – ჯულიეტა და ტიბალტი

განრისხებული ტიბალტი მიუვარდება ჯულიეტას, რათა დაარწმუნოს, რომ ეს სიყვარული განწირულია, რომ იგი ყველაფერს გააკეთებს რათა რომეოს ჩამოაშორებს. ჯულიეტა თამამად იცავს თავის სიყვარულს და შეუპოვარია უძლიერესი ტიბალტის წინაშე. იგი მზად არის ყოველგვარი დაბრკოლებისთვის, ცდილობს დაიცვას თავისი სიყვარული. ჯულიეტა ცდილობს გადააფიქრებინოს ტიბალტს რომეოსადმი შურისძიება, ეს კი მის ძალას აღემატება. ტიბალტი მოტივირებულია საბოლოოდ დაუსვას წერტილი კონფლიქს და ყველაფერს აკეთებს ამისთვის.

4. მიზანსცენა – ქორწილი

სცენაზე აბსოლუტური სიბნელეა, სადღაც შორიდან მოსჩანს სინათლე. ლორენცო ტაძარში ლოცულობს. შეწუხებული რომეო შედის ტაძარში, რათა იპოვოს მდგომარეობიდან გამოსავალი. მას ლორენცო მიეგება და დაამშვიდებს. ამ დროს სასიხარულო ამბით მოდის მერკუციო და ამცნობს, რომ ჯულიეტა ტაძრისკენ მოემართება თავის საუკეთესო მეგობრებთან ერთად. იგი მშვიდად მიდის რომეოსთან. ახალგაზრდა წყვილს, სიყვარულის გადარჩენის მიზნით ლორენცო ჯვარს წერს. მერკუციო და ჯულიეტას მეგობარი გოგონები იზიარებენ ამ სიხარულს.

5. მიზანსცენა – ჩხუბი

ჯულიეტას მეგობრები და მერკუციო, მეგობრების გაბედნიერებით ხარობენ. ამ დროს ტიბალტი თავის მეგობრებთან ერთად შემოვარდება და ეძებს რომეოს. მათ მერკუციო აღუდგება წინ, მისი მეგობრებიც შემოუერთდებიან. ტიბალტს მხოლოდ რომეოზე შურისძიება სურს, თუმცა კონფლიქტი ორ გუნდს შორის აშკარად გარდაუვალია. მხოლოდ ჯულიეტას მეგობარი გოგონები ცდილობენ ჩხუბის განეიტრალებას, თუმცა - ამაოდ. ამ დროს შემორბის რომეო, მან გაიგო – რა ჩხუბის შესახებ და არ მიატოვა მეგობრები გასაჭირში. რომეოს დანახვისთანავე ტიბალტი მისკენ გარბის. მერკუციო კი ძალის გამოყენებით ცდილობს საფრთხე აარიდოს საუკეთესო მეგობარს. იგი გადაწყვეტს ტიბალტს შეებრძოლოს, რაც ტრაგედიით მთავრდება – ტიბალტს მერკუციო შემოაკვდება. რომეო, საუკეთესო მეგობრის სიკვდილმა შურისძიებით განაწყო და განრისხებული შეერკინა ტიბალტს, რაც ტიბალტის სიკვდილით დამთავრდა. თავზარდაცემული რომეო ჯულიეტას მეგობრებს გაჰყავთ.

6. მიზანსცენა - რომეოს და ჯულიეტას გარდაცვალება

ტიბალტს და მერკუციოს დასტირიან მეგობრები. რაც რეალობაში მტრობა და შუღლი ჰქონიათ, თითქოს დაივიწყეს და სიკვდილმა გააერთიანა გარდაცვლილთა სულები. ჩნდება ლორენცო, იგი ერთგვარად აწყენარებს ვითარებას, ახალგაზრდები კი მგლოვიარე ტოვებენ სცენას.

უაცრად შემორბის ჯულიეტა. მან იცის ამ უბედურების შესახებ. იგი მარტოა და სასოწარკვეთილი, ითხოვს თანადგომას. ლორენცო ამ შემთხვევაშიც ერთადერთია, ვინც ცდილობს მის დახმარებას. იგი ჯულიეტას აძლევს ძილის წამალს, რათა დაამშვიდოს და გარდაცვალების ილუზია შექმნას. ამ დროს შემოდის რომეო, რომელიც გონებააშლილია ჩადენილი საქციელისა და საუკეთესო მეგობრის სიკვდილის გამო. რომეო ხედავს მის ერთადერთ სიყვარულსა და იმედს

მძინარეს, ის ჩათვლის რომ ჯულიეტამ თავი მოიკლა. მას რაღა დარჩენია, იგი მაშინვე ცივი იარაღით იკლავს თავს. ამ დროს იღვიძებს ჯულიეტა და ხედავს, რომ მისი ერთადერთი სიყვარული მკვდარია და ისიც დაუფიქრებლად განიგმირავს თავს. ახალგაზრდა შეყვარებულებს რეალობაში არ დასცალდათ ერთად ყოფნა, მაგრამ სასუფეველში მათმა სულებმა სიყვარული უკვდავყვეს.

დასკვნა

ჩემი ნაშრომი “ქორეოგრაფიული ტენდენციები დრამატულ თეატრში”, სწორედ ზემოთმითითებული საკითხების კვლევას, სიახლეების მიგნებას და შემდგომში ამოცანების დასახვას ისახავს მიზნად. ნაშრომში შევეცადე დეტალურად გამეანალიზებინა ქორეოგრაფიული სპექტაკლი – ჩასახვიდან დღემდე, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისამდე. მეჩვენებინა დრამატულ სპექტაკლში ქორეოგრაფიული ელემენტების შემოტანის აუცილებლობა. ამეხსნა, როგორია მოცემული, თანამედროვე რეალობაში ქორეოლოგიის ფსიქოემოციური როლი და ამოცანა. რატომ კრავს წრეს შემოქმედებითი გუნდის ერთობლივი მუშაობა ისეთი კომპონენტების განხილვისას, როგორცაა ფაბულის შექმნა, ეპოქის და ჟანრის განსაზღვრა, გმირის ავტოპორტრეტის გამოძერწვა, მუსიკის შექმნა - ანალიზი, მიზანსცენისა და ქორეოგრაფიული ტექსტის შექმნა, დადგმის მხატვრული გაფორმება.

ქორეოგრაფს არ უნდა ეშინოდეს წარსულის და არც მომავლის, რომ არაფერი ვთქვათ არსებულ დროზე. სწორედ ასეთი თანამედროვე ტენდენციები გამბედაობასა და პროფესიონალიზმზეა აგებული. თანამედროვე ქორეოგრაფიას უმაღლეს მწვერვალზე შეუძლია აიყვანოს საშემსრულებლო ოსტატობა და დამდგმელის შემოქმედებითი პოტენციალი. თანამედროვე ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი სულის ფრენა, ფიზიკურ მატერიალიზმზე მაღლაა, რაშიც სჩანს ნებისყოფის ძალა, სიმამაცე, სინაზე, საქმისადმი ერთგულება.

თითოეული ქორეოგრაფ-რეჟისორისთვის, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მომავალი სპექტაკლის შეთხზვის პროცესი სხვადასხვაგვარად მიედინება. ეს დამოკიდებულია, ქორეოგრაფის ნიჭზე, ტემპერამენტზე, საქმის ცოდნასა და განათლებაზე, ასევე სპექტაკლის თემაზე, სწორედ შერჩეულ შემოქმედებით ჯგუფზე და განხორციელების ადგილსა და მდებარეობაზე, მაგრამ ისე როგორც ცხოვრებისეული მოვლენა ექვემდებარება რაღაც საერთო კანონზომიერებას, ასევეა შემოქმედებითი პროცესიც, ერთიან ლოგიკურ სქემაზეა დამოკიდებული, რომელიც დამდგმელს ეხმარება მიჰყვეს თანმიმდევრულ ფიქრს და ორგანიზებულ ქმედებას.

ხელოვნება ხომ რეალური სამყაროს მხატვრული ანარეკლია და მაშასადამე, შემოქმედის დამოკიდებულებაც ინდივიდუალურია რეალური სამყაროსადმი.

**დისერტაციის თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული
პუბლიკაციები:**

1. XXI საუკუნის თეატრალური ხელოვნების არავერბალური სათეატრო ტენდენციები. “სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი” N:4 (49), 2011 გვ. 164-176
2. XXI საუკუნის თეატრალური ხელოვნების არავერბალური სათეატრო ტენდენციები. “საუბრები თანამედროვე ხელოვნებაზე”, 2013 გვ. 241-249
3. შემოქმედის ფსიქო-ემოციური სახე. სამეცნიერო კონფერენცია VI, მოხსენებათა თეზისები, 2013, გვ. 136-137
4. მსატვრული გაფორმების ფსიქოლოგიის საკითხისათვის. “სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი” N:2 (59), 2014 გვ. 153-159